სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

6 დეკემბერი 2024 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 183

ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსში გამარჯვებული საკონკურსო განაცხადების დამტკიცების შესახებ

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, „ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 20 აგვისტოს N129 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის 2024 წლის 6 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათის (N1567282) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ახალგაზრდა მეცნიერთათვის სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსში გამარჯვებული საკონკურსო განაცხადები:

ა) ნიკო კეცხოველის სახელობის სტიპენდია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით - YSS-24-139;

ბ) ალექსანდრე ქართველიშვილის სახელობის სტიპენდია ინჟინერია და ტექნოლოგიების მიმართულებით - YSS-24-133 ;

გ) ივანე ბერიტაშვილის სახელობის სტიპენდია სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებების მიმართულებით - YSS-24-244;

დ) დავით სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდია აგრარული მეცნიერებების მიმართულებით - YSS-24-098;

ე) დიმიტრი უზნაძის სახელობის სტიპენდია სოციალური მეცნიერებების მიმართულებით - YSS-24-217;

ვ) ივანე ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდია ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით - YSS-24-252;

ზ) ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სტიპენდია საქართველოს შესწავლელი მეცნიერებების მიმართულებით - YSS-24-279.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა გამარჯვებული საპროექტო განაცხადების ავტორებმა სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში არაუგვიანეს 2024 წლის 11 დეკემბრისა 18:00 საათისა უნდა წარმოადგინონ პირადი ანგარიშის ნომერი გაცემული ბანკის მიერ.
3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გამარჯვებული საპროექტო განაცხადების ავტორებთან ხელშეკრულების გაფორმება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არაუგვიანეს 2024 წლის 25 დეკემბრისა.
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი